ბრძანება

N 04/274

274-01-4-201710062014

06/10/2017

2017 წლის 22 აგვისტოს შეტყობინებით წარმოდგენილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის, 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის და სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30-09/3 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს „გადაწყვეტილება 2017 წლის 22 აგვისტოს შეტყობინებით წარმოდგენილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ თანდართული სახით.

2. გადაწყვეტილების შესაბამისად განხილული კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის სააგენტოში წარმომდგენ პირებს.

4. გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

2017 წლის 22 აგვისტოს შეტყობინებით წარმოდგენილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I ნაწილი. ფაქტობრივი გარემოებები

1. 2017 წლის 22 აგვისტოს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ნიდერლანდებში რეგისტრირებული „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ და სვეტლანა ლამბრიანოვას ასევე ნიდერლანდებში რეგისტრირებული „ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგ ბი ვისთან“ და რობერტ ბეჟუაშვილთან დაგეგმილი კონცენტრაციის შეტყობინება (რეგისტრაციის N01/732). „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-4 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, შეტყობინებაში მოცემულია:
    - ზოგადი მონაცემები მონაწილე სუბიექტების შესახებ;
    - ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ;
    - მონაწილე სუბიექტების მახასიათებლები;
    - კონცენტრაციის დეტალური აღწერა;
    - დამატებითი შენიშვნები.
2. მიმდინარე წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) გაიმართა შეხვედრა „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ წარმომადგენელთან, შეხვედრის შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება, მოეწოდებინათ ინფორმაცია „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ მფლობელებთან („იმმო მენეჯმენტ“ და „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ სარლ“), ან/და მათი წილის მფლობელებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საქმიანობის შესახებ, რომლებიც მოქმედებენ კონცენტრაციის შეტყობინებაში აღნიშნულ შესაბამის ბაზარზე.
3. კომპანიის წარმომადგენელთან 25 აგვისტოს შედგა მიმოწერა ელ-ფოსტით, შეხვედრაზე შეთანხმებული ინფორმაციის მოწოდებაზე, რაზეც პასუხი მიღებულ იქნა 26 აგვისტოს.
4. „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ წარმომადგენელთან გაიგზავნა წერილი N02/1279, 29.08.2017 სააგენტოში მ/წ 24 აგვისტოს გამართული შეხვედრის შედეგად მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ინფორმაციის მოწოდებაზე.
5. მ/წ 4 სექტემბერს სააგენტოში შემოვიდა „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ წარმომადგენლის ელექტრონული შეტყობინება (რეგისტრაციის N03/300, 04.09.2017) „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ

სარლთან“ დაკავშირებული, საქართველოს ბაზრებზე მოქმედი კომპანიების საქმიანობის სფეროების შესახებ.

6. სააგენტოში მ/წ 5 სექტემბრის შეხვედრის შედეგად მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით (შეხვედრას ესწრებოდნენ „იმმო მენეჯმენტისა“ და „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ სარლის“ წარმომადგენლები), შეტყობინების სრულყოფილად განხილვის მიზნით, გაიგზავნა წერილი N02/1316, 06.09.2017წ. შეტყობინების ირგვლივ შემდეგი ინფორმაციის მოთხოვნით: 1. დანართებში (გვ. 9-51) მითითებული ეკონომიკური აგენტების საქმიანობის ჩამონათვალი 2. განმარტება, რომ დანართებში (გვ. 9-51) შემავალ ეკონომიკურ აგენტებს საქართველოში არ გააჩნიათ შვილობილი კომპანიები, რომლებიც საქმიანობენ ანალოგიურ ბაზარზე.
7. მ/წ 11 სექტემბერს „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ წარმომადგენლისგან სააგენტოს სამსახურებრივ ელ-ფოსტაზე გადმოგზავნილ იქნა ინფორმაციის ნაწილი (რეგისტრაციის N01/780, 11.09.2017) „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ სარლთან“ დაკავშირებული საქართველოს ბაზრებზე მოქმედი საწარმოების საქმიანობის სფეროების შესახებ.
8. მ/წ 14 სექტემბერს სააგენტოს სამსახურებრივ ელ-ფოსტაზე განმეორებით იქნა მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის N01/788, 14.09.2017), კერძოდ, „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ სარლთან“ (მაკონტროლებელ პირებთან) დაკავშირებული საწარმოების საქმიანობის საგნები.
9. მ/წ 15 სექტემბერს „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ წარმომადგენელს გაეგზავნა წერილი N02/1324, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეტყობინების განხილვის ვადის 2 კვირით გაგრძელების შესახებ.
10. მ/წ 15 სექტემბერს სააგენტოს სამსახურებრივ ელ-ფოსტაზე შემოვიდა დამატებითი ინფორმაცია „იმმო მენეჯმენტთან“ (მაკონტროლებელ პირებთან) დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საქმიანობის ნაწილობრივი ჩამონათვალის თაობაზე და დარჩენილი ინფორმაციის მოწოდების მზადყოფნა 18 სექტემბრისთვის (მოხსენებითი ბარათის რეგისტრაციის N03/324,15/09/2017).
11. მ/წ 15 სექტემბერს სააგენტოს სამსახურებრივ ელ-ფოსტაზე გადმოიგზავნა ინფორმაცია „ჯი-სი-ეფ ლუქსემბურგთან“ დაკავშირებული კომპანიების შესახებ (რეგისტრაციის N01/790, 15.09.2017).

12. მ/წ 15 სექტემბერს სააგენტოს სამსახურებრივ ელ-ფოსტაზე შემოვიდა ნაწილობრივი ინფორმაცია „იმმო მენეჯმენტთან“ დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საქმიანობის ჩამონათვალის შესახებ (რეგისტრაციის N01/793, 15.09.2017).
13. მ/წ 18 სექტემბერს სააგენტოს სამსახურებრივ ელ-ფოსტაზე შემოვიდა წერილი (სააგენტოს 02/1279, 29.08.2017 და 02/1316, 6.09.2017 წერილების პასუხად), „ცემენტ ინვესტ ბი ვის“ საბოლოო მონაცემების თაობაზე (რეგისტრაციის N01/796, 18.09.2017).

დაინტერესებული მხარის გარდა მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შეფასების მიზნით, განხორციელდა შემდეგი სახის მიმოწერა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) გაიგზავნა წერილი N02/1290, 31/08/2017. გამოთხოვილ იქნა იმ ეკონომიკურ აგენტების ჩამონათვალი და რეკვიზიტები, რომელთა საქმიანობის საგანსაც წარმოადგენს ცემენტის, ბეტონის, წიდის წარმოება და მშენებლობა. საქსტატიდან მიღებულია ინფორმაცია (წერილი N6-2518, 05/09/2017) საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ, მითითებული საქმიანობის მიხედვით;
   ინფორმაცია წიდის მწარმოებელი ორგანიზაციების შესახებ საქსტატს არ მოეპოვება.
2. საქსტატიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, სსიპ შემოსავლების სამსახურში გაიგზავნა წერილი N02/1306, 05/09/2017. გამოთხოვილ იქნა საქსტატიდან მიღებულ ინფორმაციაში მითითებული ეკონომიკური აგენტების ერთობლივი შემოსავლები. გამოთხოვილი ინფორმაცია სააგენტოს მიეწოდა შემოსავლების სამსახურის N21-11/136060 წერილით (07/09/17).
3. სსიპ შემოსავლების სამსახურისგან (წერილი N02/1318, 12/09/2017) გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2016 წლის განმავლობაში ცემენტის, აგურის და ფურცლოვანი მინის იმპორტისა და ექსპორტის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მოგვეწოდა შემოსავლების სამსახურის N21-11/141185 წერილით, 18/09/2017.
4. სსიპ შემოსავლების სამსახურში გაიგზავნა წერილი N02/1328, 18/09/2017 და გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია:
   ა) კირის წარმოებით (სეკ 001-2004 კლასიფიკატორის ჯგუფი 26.52.1) დაკავებული ეკონომიკური აგენტების ბრუნვის მოცულობა (ლარი) 2016 წლის განმავლობაში;

ბ) სასაქონლო ბეტონის წარმოებით (სეკ 001-2004 კლასიფიკატორის ჯგუფი 26.63.1) დაკავებული ეკონომიკური აგენტების ბრუნვის მოცულობა (ლარი) 2016 წლის განმავლობაში;

გ) ცემენტის კლინკერის (სეს ესნ ჯგუფი 2523 10 000 00) იმპორტისა და ექსპორტის შესახებ 2016 წლის განმავლობაში;

დ) წიდის (სეს ესნ ჯგუფი 2618 00 000 00) იმპორტისა და ექსპორტის შესახებ 2016 წლის განმავლობაში.

შემოსავლების სამსახურიდან (წერილი N21-11/144116, 22/09/2017) მიღებულია ინფორმაცია იმ გადამხდელთა შესახებ, რომელთაც საქმიანობის ერთ-ერთ სფეროდ მითითებული აქვთ 26.52.1 (სეკ 001-2004) - კირის წარმოება; 23.52.0 (სეკ 006-2016) - კირის და თაბაშირის წარმოება; 26.63.1 (სეკ 001-2004) - სასაქონლო ბეტონის წარმოება; 23.61.0 (სეკ 006-2016) - ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისთვის და წარმოდგენილი აქვთ მოგების/საშემოსავლო გადასახადების 2016 წლის წლიური დეკლარაცია და 2016 წელს იმპორტირებული და ექსპორტირებული „ცემენტის კლინკერები“ -ს (სეს ესნ 2523 10 000 00) და „წიდა გრანულირებული (წიდის ქვიშა), მიღებული შავი ლითონების წარმოების პროცესში“-ს (სეს ესნ 2618 00 000 00) შესახებ (დანართი 2 excel ფაილი).

5. სსიპ შემოსავლების სამსახურში გაიგზავნა წერილი N02/1345, 20/09/2017 და გამოთხოვილ იქნა:

   ა) თიხის წარმოებით (სეკ 001-2004 კლასიფიკატორის ჯგუფები 14.21.0 და 14.22.0) დაკავებული ეკონომიკური აგენტების ბრუნვის მოცულობა (ლარი) 2016 წლის განმავლობაში;

   ბ) თაბაშირის წარმოებით (სეკ 001-2004 კლასიფიკატორის ჯგუფი 14.12.0) დაკავებული ეკონომიკური აგენტების ბრუნვის მოცულობა (ლარი) 2016 წლის განმავლობაში.

   გ) ინფორმაცია კაჟმიწისა და თიხამიწის იმპორტისა და ექსპორტის შესახებ 2016 წლის განმავლობაში;

   დ) ინფორმაცია თაბაშირის (სეს ესნ ჯგუფი 2520 10 000 00) იმპორტისა და ექსპორტის შესახებ 2016 წლის განმავლობაში.

6. გაიგზავნა წერილები ცემენტის წარმოებით დაკავებულ 11 ეკონომიკურ აგენტთან, რომელთა 2016 წლის ერთობლივი შემოსავალი აჭარბებს 2 მლნ ლარს (N02/1330-N02/1340, 18/09/2017): შპს [redacted], შპს [redacted] შპს [redacted], შპს [redacted]

[redacted] შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted] შპს [redacted], შპს [redacted]. გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, თუ რომელი კომპანიებისგან ახდენენ ცემენტის წარმოებისათვის წიდის შეძენას და მოეწოდებინათ საკუთარი მოსაზრება, თუ რა გავლენას იქონიებს მოსალოდნელი კონცენტრაცია შესაბამისი ბაზრის ფუნქციონირებაზე. პასუხები მიღებულ იქნა 8 ეკონომიკური აგენტისგან - შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted] შპს [redacted], შპს [redacted] შპს [redacted], შპს [redacted]. მათგან 5-მა კომპანიამ არ გამოხატა პოზიცია მოსალოდნელ კონცენტრაციაზე (უპასუხა მხოლოდ წერილში დასმულ მეორე შეკითხვას წიდის შესყიდვაზე); შპს [redacted] არ გააჩნია არანაირი პრეტენზია; შპს [redacted] არ გააჩნია მოსაზრება, „თუ რა შედეგი მოყვება ... აღნიშნულ კონცენტრაციას“; შპს [redacted] აფიქსირებს, რომ „დადებითად იმოქმედებს ბაზრის ფუნქციონირებაზე“.

7. შპს [redacted] გაიგზავნა წერილი N02/1341, 18/09/2017 და გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2016 წლის განმავლობაში მათ მიერ რეალიზებული წიდის მოცულობის შესახებ, მათ შორის ცემენტის მწარმოებელ ეკონომიკურ აგენტებზე, ასევე დანარჩენ მსხვილ მომხმარებლებზე (თითოეულ სუბიექტზე ცალ-ცალკე).
8. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიგზავნა წერილი N02/1342, 19/09/2017, რომლითაც უნივერსიტეტს ეთხოვა ექსპერტული კონსულტაციის გაწევა საქართველოს კონკურენციის სააგენტოსათვის, შემდეგ საკითხებზე:
   ა) კლინკერისა და ჰიდრავლიკური ცემენტის, მათ შორის, პორტლანდცემენტის, თიხამიწოვანი ცემენტის, წიდიანი ცემენტის და სუპერფოსფატის ცემენტის წარმოება;
   ბ) კირპუცოლანიანი, კირწიდიანი ცემენტის და სხვა მსგავსი შემკვრელი მასალების წარმოება.
9. მე-6 პუნქტში მითითებულ 11 ეკონომიკურ აგენტთან და ასევე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასთან“ და „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსთან“ გაიგზავნა წერილები N02/1346-N02/1358, 20/09/2017. გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მათ მიერ წარმოებული ცემენტის სახეობების და ცალკეული სახეობის წარმოებაში წილობრივად გამოყენებული მასალის (ქიმიური შემადგენლობა) შესახებ, მათ შორის კლინკერის, თაბაშირის, თიხამიწის, კაჟმიწის და წიდის თაობაზე. პასუხები მიღებულია შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ და შპს [redacted]-გან.

10. კონცენტრაციის განხილვის ფარგლებში, სხვადასხვა საკითხების დამუშავებისა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენის მიზნით, მომზადებულ იქნა მოხსენებითი ბარათები: N03/297, 31.08.2017 წ.; N03/323, 15.09.2017 წ.; N03/339, 25.09.2017 წ.

II ნაწილი. სამართლებრივი მიმოხილვა

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ-კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N04/156 ბრძანებით და სხვა.

კონკურენციის სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებასა და შეფასებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-11^1 მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუქნტებით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო კანონის მე-11^1 მუხლის თანახმად, სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტის/აგენტების (გარდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა) როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი აქტივების ღირებულება ან წლიური ბრუნვა (კონცენტრაციის წინა

ფინანსური წლის მონაცემებით) საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით“ დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

2. ხსენებული წესის მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტები აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

   ა) ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;

   ბ) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება 10 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ღირებულება აღემატება 4 მილიონ ლარს.

3. კანონის მე-11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია 1 თვის ვადაში განიხილოს შეტყობინება და აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირისა. დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ჩაითვლება.

4. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

5. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-4 და N30/09-3 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.

6. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია „საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო

ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას“. ამავე კანონის 32-ე მუხლის თანახმად, ასევე დადგენილია სანქცია სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისათვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნორმები უკავშირდება სააგენტოს მიერ მოკვლევის პროცესში გამოთხოვილ ინფორმაციას და არ გულისხმობს კონცენტრაციის თაობაზე შემოსული შეტყობინების განხილვისას ეკონომიკური აგენტის მიერ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას. შესაბამისად, ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა არ ატარებს იმპერატიულ ხასიათს და სააგენტო არ არის უფლებამოსილი, შესაბამისი ბაზრის სუბიექტისგან გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისას, მათ მიმართ გამოიყენოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია.

III ნაწილი. სააგენტოს შეფასება

კონკურენციის სააგენტომ განიხილა 2017 წლის 22 აგვისტოს წარმოდგენილი, ნიდერლანდებში რეგისტრირებული „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ და სვეტლანა ლამბრიანოვას და ასევე ნიდერლანდებში რეგისტრირებული „ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგ ბი. ვისთან“ და რობერტ ბეჟუაშვილთან დაგეგმილი კონცენტრაციის შესახებ შეტყობინება (რეგისტრაციის N01/732; 22.08.2017წ.) და მასთან დაკავშირებით მომზადებულ მიქნა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი.

კონცენტრაციის გარიგების საგანს წარმოადგენს ნიდერლანდებში რეგისტრირებული შპს „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი. ვის“ წილი, რომლის ამჟამინდელი მფლობელები არიან ნიდერლანდებში რეგისტრირებული შპს „ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგ ბი. ვი.“ (75%) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი რობერტ ბეჟუაშვილი (25%).



სქემა 1. არსებული მდგომარეობა

დაგეგმილი გარიგების შედეგად შპს „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი. ვის“ წილების მფლობელები გახდებიან ნიდერლანდებში რეგისტრირებული შპს „ცემენტ ინვესტ ბი. ვი.“ (45%), ფიზიკური პირი სვეტლანა ლამბრიანოვა (10%), ხოლო 45% წილი დარჩება შპს „ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგ ბი.ვის“ მფლობელობაში.



სქემა 2. დაგეგმილი კონცენტრაცია

მყიდველის „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ წილის (აქციების) 50-50%-ის მესაკუთრეები არიან ლუქსემბურგის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული საწარმოები „იმმო მენეჯმენტი“ და „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ სარლ“.

„ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ წარმომადგენლის მიერ დამატებით მოწოდებული ინფორმაციების შესაბამისად „იმმო მენეჯმენტთან“ და/ან მის მესაკუთრე კომპანიებთან დაკავშირებულია 68 ეკონომიკური აგენტი, ხოლო „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ სარლ“-თან და/ან მის მესაკუთრე კომპანიებთან დაკავშირებულია 120 ეკონომიკური აგენტი, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში

ასევე, კომპანიის წარმომადგენლის მიერ კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნულ ეკონომიკურ აგენტებს საქართველოში არ გააჩნიათ შვილობილი კომპანიები.



სქემა 3. „ცემენტ ბი ვის“ მმართველ და/ან მათ მფლობელ კომპანიებთან დაკავშირებული საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომპანიები

შეტყობინებაში მოცემული ინფორმაციით, კონცენტრაციაში მონაწილე ნიდერლანდებში რეგისტრირებული შპს „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი. ვის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს „ცემენტთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- საცემენტე კლინკერის წარმოება-რეალიზაციას;

- კლინკერის დაფქვის წისქვილების, ცემენტის შეფუთვის მოწყობილობების და ცემენტის შენახვის ტერმინალების მოწყობას და ოპერირებას;
- ცემენტის წარმოებას, შეფუთვას, დისტრიბუციას და რეალიზაციას;
- ინერტული მასალების მოპოვებას და რეალიზაციას;
- ბეტონის და სხვა ინერტული სამშენებლო მასალების წარმოებას, დისტრიბუციას და რეალიზაციას;
- სამშენებლო მასალების წარმოებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.“

ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანიების „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ და სვეტლანა ლამბრიანოვას მიერ „ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგ ბი. ვისთან“ და რობერტ ბეჟუაშვილთან დაგეგმილი კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებაზე (რეგისტრაციის N01/732, 22.08.2017წ.), კონკურენციის სააგენტოს შეფასება გულიხმობს კონცენტრაციის შედეგად სასაქონლო ბაზრებზე ცვლილების შეფასებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით კონკურენციის სააგენტოს მიერ, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან, სტატისტიკის სამსახურიდან და შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ცალკეული სასაქონლო პოზიციისა და ეკონომიკური აგენტების მიხედვით ერთობლივი შემოსავლის შესახებ დღგ-ს გარეშე. ასევე, ცემენტისა და ცემენტის წარმოების წარმოების ფაქტორებზე და სამშენებლო საქმიანობისა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე. შესაბამისად, დამუშავებულ იქნა ინფორმაცია შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

1. ცემენტის წარმოება - 26510 (სეკ 001-2004)
2. ბეტონის წარმოება - 26630 (სეკ 001-2004)
3. მშენებლობა - 45210-45240 (სეკ 001-2004)
4. ფურცლოვანი მინის დაყალიბება - 26120 (სეკ 001-2004)
5. საკედლე ბლოკების წარმოება - 26612 (სეკ 001-2004)
6. ცემენტის იმპორტი და ექსპორტი - 25232100000, 25232900000, 25239080000, 68101190000, 69021000000 (სეს ესნ)
7. ცემენტის კლინკერის იმპორტი - 25231000000, 25233000000 (სეს ესნ)
8. აგურის იმპორტი და ექსპორტი - 68101110000, 68101190000, 69010000000, 69021000000, 69022091000, 69022099000, 69029000000, 69041000000, 69049000000 (სეს ესნ)

9. ფურცლოვანი მინის იმპორტი და ექსპორტი - 70031299000, 70031990000, 70032000000, 70033000000, 70042099000, 70049092000, 70049098000 (სეს ესნ)
10. კირის წარმოება - 26521 (სეკ 001-2004)
11. კირის და ბათქაშის წარმოება - 23520 (სეკ 001-2004)
12. სასაქონლო ბეტონის წარმოება - 26631 (სეკ 001-2004)
13. სამშენებლო მიზნებისთვის ბეტონის პროდუქციის წარმოება - 23610 (სეკ 001-2004)
14. წიდის იმპორტი და ექსპორტი - 2618000000 (სეს ესნ)
15. თაბაშირის იმპორტი და ექსპორტი - 25201000000 (სეს ესნ)

გარდა ამისა, სტატისტიკის სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია წიდის მწარმოებელი ორგანიზაციების შესახებ, რაზეც ინფორმაცია საქსტატს არ მოეპოვებოდა.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაცია, შესაბამისი სასაქონლო პოზიციების მიხედვით შედარდა „ცემენტ ინვესტ ბი. ვის“ მფლობელებთან („იმმო მენეჯმენტ“ და „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ სარლ“) ან/და მათ მმართველებთან/მფლობელებთან დაკავშირებული, საქართველოში მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესახებ კონცნეტრაციაში მონწილე სუბიექტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ „ჯი სი ეფ ლუქსემბურგ სარლ“-თან და/ან მათ მესაკუთრე კომპანიებთან დაკავშირებული მხოლოდ 6 ეკონომიკური აგენტი (შპს [redacted] შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted] შპს [redacted]) მოქმედებს მშენებლობის სექტორში, ხოლო ცემენტის და ბეტონის წარმოების ან მათი წარმოებისათვის აუცილებელი კომპონენტების წარმოებასა და იმპორტში (ექსპორტის ჩათვლით) არცერთი ეკონომიკური აგენტი არ არის წარმოდგენილი. შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული 6 საწარმოს წილი (შპს [redacted] შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted], შპს [redacted]) მშენებლობის სექტორში დასაქმებული ეკონომიკური აგენტების საერთო ბრუნვის 2016 წლის მაჩვენებლებში შეადგენს 1,88%-ს. ჰერფინდალ-ჰირშმანის კოეფიციენტი შეადგენს 71,0 ერთეულს. „ჯი-სი-ეფ ლუქსემბურგთან“ დაკავშირებული კომპანიების წილის ერთიანად დათვლის შემთხვევაში ვღებულობთ HHI = 72.9, ანუ სხვაობა შეადგენს 1,9 ერთეულს.

რაც შეეხება „იმმო მენეჯმენტს“ და/ან მის მესაკუთრე კომპანიებთან დაკავშირებული საწარმოებიდან, შპს „რუსთავის ფოლადს“ უფიქსირდება ცეცხლგამძლე აგურის იმპორტი (სეს ესნ კოდი 6902 1000000), რაც უშუალოდ მშენებლობის სექტორთან არ არის დაკავშირებული, ხოლო ცემენტის და ბეტონის წარმოების ან იმპორტის სექტორში არცერთი ეკონომიკური აგენტი არ არის წარმოდგენილი. ამდენად, დაგეგმილი კონცენტრაცია არ იწვევს სასაქონლო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის შეცვლას და შესაბამისად, ბაზრის სრულყოფილი მოკვლევისა და შეფასების, მათ შორის, პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების და დროითი ჩარჩოს დადგენის აუცილებლობა არ არსებობს. ამასთან, კონკურენციის სააგენტომ დამატებით საჭიროების მიხედვით, მიიღო აკადემიური სახის კონსულტაცია (ცემენტის შემადგენლობა და ნედლეული), გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია, როგორც კონცენტრაციის მხარეებისაგან, ასევე სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან, რომლებიც ცემენტის სასაქონლო ბაზარზე საქმიანობენ.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ თუ კონცენტრაციის შედეგად საქართველოს ან მის მნიშვნელოვან ნაწილში ეკონომიკური აგენტის ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 25%-ს, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თუ ერთსა და იმავე ბაზარზე (ერთი და იგივე საქონლის/მომსახურების მწარმოებელი) მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი არ აღემატება 1250-ს, ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.“

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, „თუ ერთსა და იმავე ბაზარზე (ერთი და იგივე საქონლის/მომსახურების მწარმოებელი) მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის შედეგად ჰერფინდალ - ჰირშმანის ინდექსი 1250-დან 2250-მდეა და მისი ცვლილება არ აღემატება 250-ს ან ჰერფინდალ - ჰირშმანის ინდექსი მეტია 2250-ზე და მისი ცვლილება ნაკლებია 150-ზე, მაშინ ასეთი კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა თუ:

ა) კონცენტრაციაში მონაწილეობს პოტენციური კონკურენტი ან ბაზრის მცირე წილის მქონე ეკონომიკური აგენტი, რომელიც შერწყმამდე ცოტა ხნით ადრე შემოვიდა ბაზარზე;

ბ) კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ინოვაციური პოტენციალი შერწყმის მომენტისათვის მოცემული ბაზარის სტრუქტურაში ასახული არ არის;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ერთმანეთის წილების ფლობას და ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

დ) კონცენტრაციაში მონაწილე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი მინიმუმ 50%-ია;

ე) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

ვ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელიც საბაზრო სტრუქტურაში მისი პოზიციის გათვალისწინებით, ხელს უშლიდა ან უშლის ბაზრის დანარჩენ სუბიექტებს შორის კოორდინირებული მოქმედებების განხორციელებას ან ასეთი მოქმედებების ხარისხის გაზრდას.

ზ) სხვა ისეთი მოცემულობა ბაზარზე, რომლის არსებობა მიუხედავად საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა წილების მაჩენებლებისა, მიუთითებს იმაზე, რომ კონცენტრაცია შეიძლება იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.“

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანების 21-ე მუხლის თანახმად, თუ არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შედეგად შექმნილი ეკონომიკური აგენტი თითოეულ შესაბამის ბაზარზე, რომელზეც ის მოქმედებს არ მიიღებს 30%-ზე მეტ საბაზრო წილს და თითოეულ ასეთ ბაზარზე ჰერფინდალ - ჰირშმანის ინდექსი ნაკლებია 2250-ზე, ასეთი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, გარდა იმ შემთხვევებისა თუ:

ა) საბაზრო ძალის ან ინოვაციური პოტენციალის გამო მოსალოდნელია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა წილის მნიშვნელოვანი ზრდა.

ბ) ბაზრის მონაწილეთა შორის არსებობს მნიშვნელოვანი ჯვარედინი თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთის წილების ფლობას, ასევე, ხელმძღვანელი პირების მიმოცვლას;

გ) სახეზეა ბაზრის მონაწილეთა შორის წარსულში არსებული არაერთჯერადი ხასიათის შეთანხმებული მოქმედებების ან სხვა ურთიერთხელშეწყობის ნიშნები;

დ) კონცენტრაციაში მონაწილეობს ეკონომიკური აგენტი, რომელიც საბაზრო სტრუქტურაში მისი პოზიციის გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით ხელს უშლიდა ან მომავლში შეუშლის ხელს ბაზრის დანარჩენ სუბიექტებს შორის კოორდინირებული მოქმედებების განხორციელებას ან ასეთი მოქმედებების ხარისხის გაზრდას.

აღნიშნული მუხლის გამოყენებაზე, მიზანშეწონილია **განვმარტოთ,** რომ სასაქონლო პოზიციებზე ინფორმაცია გამოთხოვილია და დამუშავებულია იმ სახით, რომ კონცენტრაციის მხარეების მიერ საქართველოს სასაქონლო ბაზარზე წარმოდგენილი კომპანიების თანაკვეთა არ იკვეთება შპს „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი. ვი“-ს საქმიანობის სასაქონლო ბაზრებზე ამ საქმიანობის ფაქტორების გათვალისწინებით. ასევე, სამშენებლო მინა და სხვა მსგავსი სასაქონლო პოზიციები აღებულია სასაქონლო ბაზრის ვერტიკალური ჭრილის ჰორიზონტალურ ასპექტში, ჩამნაცვლებლების გარემოების დადგენის მიზნით. მაგ. მაღალტექნოლოგიური ეკონომიკის მშენებლობის სექტორში კომპოზიციური მასალის გამოყენებას მაღალი ხვედრით წილი უკავია, შესაბამისად ერთეული კვადრატული მეტრი ფართის მშენებლობაში ცემენტი და ბეტონის მოთხოვნა განსხვავებულია,

აღნიშნული მითითებების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „აუცილებლობის, ეფექტურობისა და თანაზომიერების პრინციპების შესაბამისად, კვლევისას შესრულდება მხოლოდ ის სამუშაო, რომელიც მიმართულია და აუცილებელია კვლევის მიზნის მისაღწევად და ამავდროულად, რომლის მასშტაბები და ხასიათი შეესაბამება ამ მიზანს.“

როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილი კონცენტრაცია მხოლოდ მშენებლობის ბაზარზე ცვლის სასაქონლო ბაზრის სტრუქტურას უმნიშვნელოდ, თანაც სამშენებლო საქმიანობის სასაქონლო ბაზარზე, სადაც სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი შეადგენს (HHI) 71 ერთეულს და ცვლილება ΔHHI შეადგენს - 1.9 ერთეულს. სხვა დანარჩენ

შემთხვევაში, მათ შორის კირქვის (შენარჩუნებულია არსებული გარემოება) სასაქონლო ბაზარზე ადგილი არა აქვს ჰორიზონტალური და ვერტიკალური კონცენტრაციის შემთხვევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 21-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2017 წლის 22 აგვისტოს კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი (რეგისტრაციის N01/732, 22.08.2017წ.) შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის თაობაზე, აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და თავსებადია ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან.